ქირავნობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

15 აგვისტო, 2014 წ.

ერთი მხრივ, **შპს "ჯეოსელი" საიდ. კოდი: 203841940** (შემდგომში - დამქირავებელი ან/და ჯეოსელი) წარმოდგენილი ვლადიმერ საბაურის (პირადი #31001009783) სახით, რომელიც მოქმედებს შპს "ჯეოსელის" გენერალური დირექტორის – პასი კოისტინენის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე და მეორე მხრივ, შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი **(საიდ. კოდი: 202193544) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის იოსებ ბრეგვაძის სახით** (პირადი #01008009199) (შემდგომში - გამქირავებელი), ნების თავისუფალი გამოვლენის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

(გამქირავებელი და დამქირავებელი ერთად მოიხსენიებიან, როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე მხარედ, კონტექსტის შესაბამისად)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამქირავებელი ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, ვადითა და სასყიდლით გადასცემს დამქირავებელს დროებით სარგებლობაში, მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობა #01/6-ის ლიფტების სამანქანოს მიმდებარედ 7 (შვიდი) კვ.მ ფართს, შენობა-ნაგებობა #01/6-ის სახურავის, ასევე #01/6-ის და 04/6-ის შემაერთებელი დერეფნის სახურავის გარე კიდეებზე 2 (ორი) კვ.მ ფართს (დანართი #1) (შემდგომში ქირავნობის საგანს). აღნიშნული ფართი წარმოადგენს გამქირავებლის საკუთრებას, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, განცხადების რეგისტრაციის #882014300135, გაცემული 11/06/2014 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. ქირავნობის საგანი დამქირავებელის მიერ გამოყენებულ იქნება მობილური კავშირგაბმულობის აპარატურისა, მოწყობილობებისა, ფიდერების და ანტენების განსათავსებლად (შემდგომში ქირავნობის მიზანი).

1.2. ქირავნობის საგნის მახასიათებლებია:

- მესაკუთრე: შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი
- მისამართი: თბილისი, ლუბლიანას. ქ. #18/20
- მიწის საკადასტრო კოდი: 01.13.01.015.101

1.3. გამქირავებელი ნებას რთავს (შესაბამისად იღებს ვალდებულებას) დამქირავებელს, საჭიროების შემთხვევაში, გამქირავებლის ობიექტიდან (ან მაბვის გამანაწილებლი კარადიდან) გაიყვანოს ძალოვანი კაბელი ელექტროენერგიის მისაღებად.

2. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

2.1. გამქირავებელი აძლევს გარანტიას და დამქირავებლის სასარგებლოდ აცხადებს, რომ:

2.1.1. კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გამქირავებელს გააჩნია სრული უფლებამოსილება დადოს ხელშეკრულება მოცემული პირობებით და დებულებებით;

2.1.2. არ არსებობს კანონიერი ან სხვა დაბრკოლებები დამქირავებელთან წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად;

2.1.3. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესით);

2.1.4. ქირავნობის საგანი არ არის იპოთეკით, უზუფრუქტით და სხვა მსგავსი უფლებით დატვირთული;

2.1.5. ქირავნობის საგანს არ აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რაც მან არ აცნობა დამქირავებელს და რისი არსებობაც შეამცირებდა უძრავი ქონების ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა ქირავნობის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

2.1.6. დამქირავებელს ხელი არ შეეშლება ქირავნობის საგნით სარგებლობაში, ხოლო ხელშეშლის არსებობის შემთხვევაში გამქირავებელი ვალდებულია დაიცვას დამქირავებელი ყოველგვარი ხელშეშლისგან (მათ შორის, დაქირავებულ ფართით შეუზღუდავად სარგებლობისათვის უზრუნველყოს დამქირავებელი აუცილებელი გზით);

2.1.7. ხელშეკრულება იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, დამქირავებლის ან სხვა მესამე პირ(ებ)ის მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

2.1.8. ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;

2.1.9. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

გამქირავებელი

დამქირავებელი

2.1.10. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან ან/და კანონმდებლობასთან;

2.1.11. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გამქირავებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

2.1.12. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული დამქირავებლის მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, ხელშეკრულების დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ დამქირავებლისათვის წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

2.1.13. დაიცვას დამქირავებელი ყოველგვარი დანაკარგისაგან, სარჩელისაგან, სანქციისაგან, მოთხოვნისაგან, ვალდებულებისაგან, ზიანისაგან და ხარჯებისაგან, რომლებიც დაკავშირებული იქნება გამქირავებლის ან მესამე პირის ნებისმიერ ზიანთან, რომელიც ნებისმიერ დროს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გამოწვეული იქნება გამქირავებლის მიერ გაცემული გარანტიების დარღვევასთან ან/და მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ან/და არაჯეროვან შესრულებასთან;

2.2. გამქირავებლის აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

2.3. გამქირავებელი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს დამქირავებელს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება გამქირავებლის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.4. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ დამქირავებელი მხოლოდ გამქირავებლის ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს ხელშეკრულებას;

2.5. დამქირავებელი აცხადებს, აძლევს გარანტიას და იღებს ვალდებულებას გამქირავებლის სასარგებლოდ, რომ:

2.5.1. იგი უფლებამოსილია, მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, დადოს წინამდებარე ხელშეკრულება მოცემული პირობებით და დებულებებით;

2.5.2. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესით).

2.6. დამქირავებელმა იცის, რომ გამქირავებელი ეყრდნობოდა წინამდებარე გარანტიებს დამქირავებელთან ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

3. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

3.1. **დამქირავებელი უფლებამოსილია:**

3.1.1. საკუთარი შეხედულებისამებრ, გამქირავებლის ყოველგვარი თანხმობის ან/და ნებართვის გარეშე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს დამონტაჟებული აპარატურის სახეობა და რაოდენობა დაკავებულ ფართზე;

3.1.2. გამქირავებელთან წინასწარი შეთანხმებით, დაქირავებულ ფართზე მოახდინოს უძრავი ქონების რეკონსტრუქცია და ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები.

3.1.3. გამქირავებლის წერილობითი თანხმობის გარეშე, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ქირავნობის საგანი სარგებლობის უფლებით, სრულად ან/და ნაწილობრივ გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს, თუ არ იცვლება ქირავნობის საგნის გამოყენების მიზანი;

3.1.4. ქირავნობის მიზნიდან გამომდინარე შეუზღუდავად და ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე ისარგებლოს ქირავნობის საგნით;

3.1.5. მოსთხოვოს გამქირავებელს ხელშეკრულების პირობების შესრულება;

3.1.6. გამოიყენოს ხელშეკრულებით და კონონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.2. **დამქირავებელი ვალდებულია:**

3.2.1. ისარგებლოს ქირავნობის საგნით მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მიზნით;

3.2.2. გაუფრთხილდეს ქირავნობის საგანს და უზრუნველყოს მისი ჯეროვანი მოვლა-პატრონობა;

გამქირავებელი *დამქირავებელი*

3.2.3. დაფაროს მიმდინარე ხარჯები, რაც დაკავშირებულია ქირავნობის საგნით სარგებლობასა და მის ჯეროვან მოვლასთან;

3.2.4. დაიცვას საქართველოში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;

3.2.5. შეინარჩუნოს ქირავნობის საგნის მდგომარეობა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით;

3.2.6. მხოლოდ შესაბამისი აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოს გამქირავებლის წარმომადგენელთა დაშვება მის მიერ ქირავნობით აღებულ ტერიტორიაზე. დაშვება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ქირავნობის საგნის დათვალიერების მიზნით, დამქირავებლის წარმომადგენლის თანხლებით და წინასწარ ურთიერთშეთანხმებულ დროს;

3.2.7. გადაიხადოს ქირა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

3.2.8. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აანაზრაუროს ნებიმიერი ზიანი, რომელიც მიადგება გამქირავებელს დამქირავებლის ან მისი წარმომადგენლების განზრახი ქმედებით;

3.2.9. **უზრუნველყოს ქირავნობის საგანზე მის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა;**

3.2.10. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

3.3. **გამქირავებლი უფლებამოსილია:**

3.3.1. ქირავნობით გადაცემულ ტერიტრიაზე შევიდეს მხოლოდ დამქირავებელთან წინასწარი შეთანხმებისა და მისგან შესაბამისი ნებართვის მიღების საფუძველზე, დამქირავებლის წარმომადგენელთა თანდასწრებით. გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ავარიული და ისეთი გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რა დროსაც საფრთხე ექმნება ქირავნობის საგანს. მსგავს სიტუაციაში, გამქირავებელი უფლებამოსილია შევიდეს ქირავნობით გადაცემულ ტერიტორიაზე დამქირავებლის წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა მისი ნებისმიერი ქმედება ზეპირსიტყვიერად შეთანხმებული უნდა იქნას დამქირავებლის უფლებამოსილ წარმომადგენელთან;

3.3.2. მოსთხოვოს დამქირავებელს ხელშეკრულების პირობების შესრულება;

3.3.3. გამოიყენოს ხელშეკრულებით და კონონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.4. **გამქირავებლი ვალდებულია:**

3.4.1. დამქირავებელს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ქირავნობის საგანი (უძრავი ქონება); ამასთან დამქირავებელი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია ქირავნობის საგნის მდგომარეობა და იწონებს მას;

3.4.2. დამქირავებელს კეთილსინდისიერად და სრულად გააცნოს ქირავნობის საგნის მდგომარეობა;

3.4.3. დამქირავებლის თანხმობის გარეშე არ გახსნას სააპარატურო კარადა ან/და არ განახორციელოს რაიმე მოქმედება ქირავნობის საგანზე განთავსებულ აპარატურაზე;

3.4.4. დაუყოვნებლივ და წინასწარ შეატყობინოს დამქირავებელს ქირავნობის საგნის გასხვისების ან/და რაიმე ფორმით უფლებრივად დატვირთვის შესახებ;

3.4.5. შეუზღუდავად დაუშვას დამქირავებლის ტექნიკური პერსონალი ქიროვნობის საგანზე ან/და უძრავი ქონების სახურავზე (საჭიროების შემთხვევაში), დამქირავებლის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისთვის;

3.4.6. წინასწარ, ერთი (1) თვით ადრე შეატყობინოს დამქირავებელს შენობის/უძრავი ქონების დაგეგმილი კაპიტალური რემონტის და/ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც სამუშაოების თაობაზე არ იყო ცნობილი ერთი თვით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალური რემონტის ან/და სარეკონსტრუქციო სამუშაოების, ან/და გამქირავებლის მიერ ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შედეგად შეუძლებელი გახდება ფართით ჯეროვნად სარგებლობა და ამავდროულად აღნიშნული სამუშაოები/გარემოებები გაგრძელდება 1 (ერთი) სამუშაო დღეზე მეტ ხანს, აღნიშნულ თვეში გადასახდელი ქირის ოდენობა შემცირდება პროპორციულად;

3.4.7. ხელი არ შეუშალოს დამქირავებელს ქირავნობის საგნით სარგებლობაში და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რათა დამქირავებელმა შეძლოს ქირავნობის საგნის გამოყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად;

3.4.8. უზრუნველყოს 24 საათიან რეჟიმში ელექტროენერგიის მიწოდება დამქირავებლისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მათი მიწოდება შეუძლებელია კომუნალური მომსახურების მიმწოდებლის მიზეზით;

3.4.9. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე **და მოქმედებს ერთი წლის ვადით.** დამქირავებელს უნარჩუნდება ხელშეკრულების გაგრძელების ან განახლების უპირატესი უფლება. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე ერთმანეთს წერილობით არ აცნობებენ ხელშეკრულების ვადის გაუგრძელებლობის შესახებ, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად, მანამდე არსებული პირობებით და პირობებით.

გამქირავებელი





დამქირავებელი

---

5. ქირა და ანგარიშსწორების პირობები

5.1. დამქირავებლის მიერ გამქირავებლისათვის ქირავნობის საგნით სარგებლობისათვის გადასახდელი თანხა თვეში შეადგენს 1000.00 (ერთი ათასი) ლარს, ყველა სახელმწიფო გადასახადის და დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში ქირა); ამ პუნქტით გათალისწინებული ქირის ოდენობა არ მოიცავს კომუნალურ გადასახადს, რომლის გადახდასაც ცალკე უზრუნველყოფს დამქირავებელი, გამქირავებლის მიერ დამქირავებლისათვის გაგზავნილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე;

5.2. დამქირავებელი გამქირავებელს ქირას უხდის/ქირის გადახდას იწყებს მხოლოდ ქირავნობის საგნის ფაქტიურად სარგებლობის დაწყების შემთხვევაში. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ ქირავნობის საგნის ფაქტიურად სარგებლობის დაწყებაში იგულისხმება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქირავნობის ფართზე/საგანზე დამქირავებლის ტექნიკური საშუალებ(ებ)ის ან/და მოწყობილობების განთავსების დაწყების პერიოდი. მხარეები უფლებამოსილნი არიან აღნიშნულის შესახებ (ქირავნობის საგნის ფაქტიურად სარგებლობის დაწყებაზე) დამატებით გააფორმონ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;

5.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმული ქირა ფიქსირებულია და იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას არანაირი საფუძვლით, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში;

5.4. ქირის და კომუნალური გადასახადის გადახდა წარმოებს ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორების წესით, გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე თანხის/ქირის გადარიცხვის გზით, დამქირავებლისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

5.5. ქირის და კომუნალური გადასახადის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის და გამქირავებლის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, დამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.07%-ის ოდენობით.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

6.1.1. გამქირავებლის მიერ ნებისმიერ დროს, დამქირავებლისათვის სულ მცირე ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

6.1.2. დამქირავებლის მიერ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების შეწყვეტამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე გამქირავებლისათვის წერილობით გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე, თუ ეს შეესაბამება მის ინტერესებს;

6.1.3. დამქირავებლის მიერ, ნებისმიერ დროს, თუ გამქირავებელი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და დარღვევის გამოსწორება არ განხორციელდება წერილობითი შეტყობინების მიღებიდან დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 დღის ვადაში;

7. მოქმედი სამართალი და დავების გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2. ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება ან გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, დაუძლეველი ძალა წარმოადგენს მოვლენას, რომელიც მხარეების გონივრული კონტროლის მიღმაა, და რომელიც შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რაც მოიცავს ომს, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, შტორმს, წყალდიდობას, უკიდურესად გაუარესებულ ამინდს, გაფიცვას, კონფისკაციას ან/და სახელმწიფო ორგანოების სხვა ქმედებას.

8.3. დაუძლეველი ძალით დაზარალებულმა მხარემ ამგვარი მოვლენის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ამგვარი მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღისა, უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს და წარმოუდგინოს მას სათანადო მტკიცებულება ამგვარი მოვლენის ხასიათის და გამომწვევი მიზეზების შესახებ და აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ვითარების გამოსწორების შესახებ.

8.4. თუ დაუძლეველი ძალით გამოწვეული ვითარება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გასტანს, მხარეებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვითარების გამოსწორების დალოდების შესახებ.

9. შეტყობინებები

გამქირავებელი

დამქირავებელი

9.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომლის რომელიმე მხარისგან გაგზავნაც მოთხოვნილი ან გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა შესრულდეს წერილობით და უნდა ჩაბარდეს (ა) პირადად, (ბ) რეგისტრირებული ფოსტით, რომელიც იძლევა შესაბამის ქვითარს, ან (გ) ტელეფაქსით, რაც შემდგომში დადასტურდება ფოსტით;

9.2. ფოსტით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება მხარეებს უნდა გაეგზავნოთ ქვემოთ მოცემულ მისამართებზე, რომელთა შეცვლაც შესაძლებელია წინამდებარე მუხლით განსაზღვრული წესით შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. წინამდებარე მუხლის თანახმად გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება (ა) პირადი ჩაბარების თარიღზე, (ბ) ფოსტის მიღების თარიღზე, ან (გ) ტელეფაქსის გაგზავნის მომდევნო სამუშაო დღეს.

9.3. ხელშეკრულებაში მითითებული მხარეთა მისამართების და რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა წერილობით უნდა შეატყობინონ მეორე მხარეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10. კონფიდენციალურობა

10.1. მხარეები ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ წინამდებარე ხელშეკრულებასთან, მის დებულებებთან, მოლაპარაკებებთან, ტრანზაქციასთან და ზოგადად გარიგებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა და მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობით;

10.2. მხარეები უზრუნველყოფენ წინამდებარე მუხლის დებულებების შესრულებას მათი დასაქმებულების და ნებისმიერი იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს წვდომა მხარეების ხსენებულ ინფორმაციაზე;

წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები ძალაში რჩება წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგაც. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის გამო მიყენებულ ზარალს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის პირობების შესაბამისად.

11. ანტიკორუფციული ღონისძიებები

11.1. „გამქირავებელი“ აცხადებს, იძლევა გარანტიას და ადასტურებს რომ:

11.1.1. მისთვის ცნობილია “თელიასონერას“ პოლიტიკა, რომელიც მკაცრად კრძალავს როგორც მისი, ასევე მონათესავე საწარმოს დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების, სარგებელის ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;

11.1.2. „გამქირავებელი“ (მათ შორის არც მის დირექტორს, უფლებამოსილ პირს, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებულ პირს ან/და მის მონათესავე საწარმოს:

11.1.2.1. ჯეოსელთან დაკავშირებული არცერთი ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან/და ანაზღაურება

11.1.2.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ხელშეკრულების დადებაზე, რომლის მიზანია ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა ან/და დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი მონათესავე საწარმოს ქმედებებზე, ასევე რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით ან/და სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

11.2. „თელიასონერას“ პოლიტიკის ან ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს როგორც ამ, ისე ჯეოსელთან აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტას ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს „გამქირავებლის“ ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მონათესავე საწარმოს პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. (მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).

11.3. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და ჯეოსელთან აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

11.4. „გამქირავებელი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ჯეოსელს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს თელიასონერას პოლიტიკასთან ან/და გამოიწვიოს ამ გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

გამქირავებელი

დამქირავებელი

11.5. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ ჯეოსელი მხოლოდ მხარის ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს როგორც ამ ხელშეკრულებას, ისე მხარესთან გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ს.

12. სხვა და დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით, წერილობითი ფორმით.

12.2. ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული ყველა გარიგება, რომელიც დადებულია ამავე მხარეებს შორის ამავე საგანზე და მიმოწერა ძალას კარგავს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღიდან;

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება წარმოდგენს მის განუყოფელ ნაწილს;

12.4. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არამარტო სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან;

12.5. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება ხელშეკრულებით, ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას;

12.6. ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე;

12.7. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი;

12.8. ხელშეკრულებაში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით;

12.9. ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება;

12.10. ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, თუ სამართალმემკვიდრეებისათვის.

12.11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს.

12.12. წინამდებარე ხელშეკრულების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის/რეგისტრაციიდან მოხსნის, ასევე ცვლილებების რეგისტრაციის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას კისრულობს დამქირავებელი;

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამქირავებელი - შპს „ჯეოსელი“

მის: ქ. თბილისი, გოთუას ქ. #3 (მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო)

ს/კ: 203841940

მომსახურე ბანკი:
სს "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა # GE 64 VT 6600000444467944

წარმომადგენელი
ვლადიმერ საბაური

გამქირავებელი - შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი

მისამართი: თბილისი, ლუბლიანას. ქ. #18/20
ტელ: 2518559
საიდ. კოდი: საიდ. კოდი: 202193544

მომსახურე ბანკი:
სს "კორ სტანდარტ ბანკი"
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ა/ნგ. # **GE28KS0000000166443001**

გენერალური დირექტორი
იოსებ ბრეგვაძე

გამქირავებელი

დამქირავებელი